127

№ 77
შაბათი, 9 აპრილი 1894

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

ივერია

№ 77
შაბათი, 9 აპრილი 1894
რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

„ივერია“

გამოდის 1894 წელს
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
სატელეგრ. ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

თანახმად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წევრთა წლიურის კრების გადაწყვეტილებისა, დანიშნულია 21 აპრილს, დილის 11 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში ამავე საზოგადოების

საგანგებო კრება,

რომელმაც უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

1) მოხსენება სარევიზიო კომისიისა $18^{91}/_{92}$ წლის ანგარიშის შესახებ და აზრი გამგეობისა ამ მოხსენების შესახებ.

2) მოხსენება კომისიისა, რომელსაც წლიურის კრების მიერ მინდობილი აქვს გამორკვევა სკოლების გახსნის საქმისა.

3) მოხსენება გამგეობისა გამგეობის მოქმედების წეს-რიგის შესახებ.

4) არჩევა სარევიზიო კომისიისა, შესამოწმებლად მიმდინარე წლის წლიურის ანგარიშისა.

და 5) არჩევა საზოგადოების ახალის წევრებისა.

ტფილისი, 9 აპრილს

ოდესის გაზეთში ჩვენ ამოვიკითხეთ შემდეგი ამბავი:

„პროფესორმა გ. ე. აფანასევმა თავისი მეორე ლექცია ნაპოლეონის შესახებ შემდეგის საყურადღებო სიტყვებით დაიწყო: წარსულს ლექციაში შევეხე რა საფრანგეთის თავად-აზნაურობისა და კორსიკის თავად-აზნაურობის დამოკიდებულებას, ვსთქვი, რომ საფრანგეთის თავად-აზნაურობა ისეთისავე თვალით უყურებდა კორსიკისას, როგორის თვალითაც რუსეთის თავად-აზნაურობა უყურებს კავკასიის თავადებსა-მეთქი. ამის გამო საყვედური მითხრეს ზოგიერთმა ჩემმა პატივცემულმა მსმენელმა, რომელთაც ალბად ის ეგონათ, რომ პირადად მე ასეთის თვალით ვუყურებდე კავკასიის თავად-აზნაურობას. ამიტომ ჩემს მოვალეობადა ვსთვლი გამოვაცხადო, რომ ფიქრადაც არა მქონია კერძო ჩემი აზრი გამომეთქვა ამა თუ იმ თავად აზნაურობის შესახებ, მე მხოლოდ შევადარე ორი დამოკიდებულება“.

პატივცემული პროფესორი, მართალია არ ამბობს თავის აზრს ჩვენის თავად-აზნაურობის შესახებ; მაგრამ ის გარემოება, რომ ოდესის „მეცნიერს“ დასჭირდა ნაპოლეონის ლექციაში კავკასიის თავად-აზნაურობა გაეხსენებინა და წარმოეთქვა საჯაროდ, თუ როგორის აზრისა არის რუსეთის თავად აზნაურობა ამ თავადებზე, საკმაოდ ჰხატავს ლექტორის საკუთარს აზრსაც. ამას გარდა, მეორე ლექციაში, როდესაც პროფესორს შეუტყვია, რომ მის „სამეცნიერო“ შედარებას უკმაყოფილება გამოუწვევია—რადა სცდილობს აუხვიოს გვერდი ამ საგანს და თავისი აზრი დაფარული იქონიოს?

იმედი გვაქვს, საქართველოს თავად-აზნაურობისათვის ეს სულ ერთია, როგორის აზრისა ბრძანდება ბ-ნი „ოდესის მეცნიერი“. მაგრამ, რომელმა რუსეთის თავად-აზნაურობამ აუწყა პატივცემულს პროფესორს და სთხოვა—გამოაცხადეთ თქვენს ლექციებზე, რომ ჩვენ კავკასიის თავადებზედ ცუდის აზრისანი ვართო?

რამდენადაც ვიცით, არაფერი ამის მსგავსი არც ერთს რუსეთის სათავად-აზნაურო კრებაზედ არ წარმოთქმულა, და თუ ზოგიერთ რუსულ გაზეთში შეხვდება კაცი ხოლმე უკადრისს და უაზრო წერილებს ჩვენის თავად-აზნაურობისა, და საზოგადოდ ჩვენის ხალხის შესახებ, ეს ხომ საკუთრად იმ გაზეთების დვაწლია თანხმობისა და კარგის დამოკიდებულების დასაარსებლად ჩვენსა და რუსთა შორის, და არა აზრი რუსეთის თავად-აზნაურობისა?

პროფესორს აფანასევს დაუფიქრებელი თავისი შედარება იმ გარემოებამ თუ ათქმევინა, რომ კავკასიაში, მართლა დიდძალი თავად-აზნაურობაა, დანარჩენ მცხოვრებთა შედარებით?—მაგრამ „მეცნიერს“ შემჩნეოდა, სანამ ასეთს საოხუნჯო მაგალითს იტყოდა, ჯერ კარგად შეეტყო ისტორია და მნიშვნელობა იმ წოდებისა, რომელზედაც ლაპარაკი ჰსურდა.

იქნება ბ-ნს აფანასევს ის მიაჩნია ახირებულად, რომ კავკასიის თავად-აზნაურობა ღარიბია და ასი ათასობით მანეთი შემოსავალი არა აქვს?

მაგრამ, რუსის უნივერსიტეტის პროფესორს უნდა ესმოდეს, რომ შთამომავლობა კეთილშობილისა სხვა არის და სიმდიდრე კიდევ სხვა.

სიმდიდრე იმ გვარადვე საჭიროა ყოველის წოდებისათვის, როგორც თავად-აზნაურობისათვის. რაც დაბრკოლება და უსიამოვნება შეხვდება სიღარიბის გამო თავად-აზნაურობას, იგივე მოელის თითოეულს წოდებასაც, და, აქ ფული-და ადგილ-მამული არაფერს შუაშია.

ზევით ვსთქვით, რომ პროფესორს უნდა სცოდნოდა კავკასიის თავად-აზნაურობის ისტორია და მნიშვნელობა-მეთქი. განვიმეორებ კიდევ, რომ ამ გვარი სხარტული სიტყვა პასუხი, როგორიც ინება ჩვენმა „მეცნიერმა“, სულაც არ არის მეცნიერული წესი საგნის გამოკვლევისა.

იქნება ბატონმა პროფესორმა არ იცოდეს, და ჩვენ მოვახსენებთ, რომ საქართველოს თავად-აზნაურობამ თავისი მაღალი ღირსება დაიმსახურა სამშობლოსა და სარწმუნოების სამსახურითა და ერთგულებით. ამ თავად-აზნაურობას, მრავალის საუკუნოის განმავლობაში შეუშინებია ქვეყნისა და სარწმუნოების მტერნი და, როდესაც საქართველოს მპყრობელნი ჰნახავდნენ სახელითა და სიმხნით მოსილს ქართველს, ქვეყნისათვის თავდადებულს, აჯილდოვებდენ ხოლმე ასეთ მამულის შვილს თავად-აზნაურობის ღირსებით.

იქნება, ვეცხლისა და ადგილ-მამულის მოხვეჭა უფრო სასარგებლო და საშვილიშვილო საქმე ყოფილიყო თავად-აზნაურობისათვის, მაგრამ ძველად ჩვენთა წინაპართა ადამიანის ღირსების დასაფასებლად სხვა საწყაო ჰქონდათ.

არა გვგონია, რომ წოდებას, რომელსაც ასეთი წარსული აქვს და ასეთი სამსახური მიუძღვის ქვეყნისა და ღვთისა წინაშე, შეეფერებოდეს ისე თავხედად ხსენება, როგორც ეს ინება ოდესის პროფესორმა.

რაც მიეტევება რომელსამე პრინციპებს გადაცდენილს გაზეთს, რომელსამე მჯღაბნელს, რადგანაც თითონაც არ ესმის რასა სწერს ის არ შეენდობა მეცნიერს...

მეველე

◆

ახალი ამბავი

⁂ წლიური კრება ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წევრთა დანიშნულია 12 მაისისათვის.

⁂ გუშინ, აპრილის 8-ს, საღამოზე პეტერბურგიდგან ტფილისს დაბრუნდა ტფილისის გუბერნატორი თავადი შარვაშიძე.

⁂ გუშინ ტფილისში ჩამოვიდა ქუთაისის გუბერნატორი ღენერალი შალიკოვი.

⁂ კავკასიის ცენზორთა კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი ჰაკელი გუშინ-წინ ღამით ტფილისს დაბრუნდა პეტერბურგიდგან.

⁂ „პურ-ღვინოს“ პატრონს განუზრახავს თავის სასტუმროში გამართოს განყოფილება იაფ-ფასიან სასადილოსი, სადაც ნახევარ ფასად შეეძლოთ იაფად სადილის ჭამა, ასე რომ ის სადილი, რომელშიაც ეხლა იხარჯება მანეთზედ მეტი, ეღირება ორი აბაზი. განსხვავება მარტო იმაში იქნება, რომ ამ განყოფილებაში თითოეულს ერთს ბოთლს ღვინოზე მეტს არ მისცემენ.

⁂ მეხილეები ამ ბოლოს დროს იღებენ პატარა მჟავე ფორთოხალს და წვრილის შესაშხაპუნებელ ნემსით შიგ რაღაც წითელს სითხეს ასხამენ, რის გამოც გული უწითლდება ფორთოხალს და მეტად ფასობს. ერთი ამ გვარად გაკეთებული ფორთოხალი უკვე გაგზავნილია ქალაქის საქიმიო ლაბორატორიაში ქიმიურად გასასინჯად.

⁂ ქალაქის სამკურნალო სასანიტარო საბჭოს უკანასკნელ კრებაზედ, რომელზედაც მიწვეული იყო

ფელეტონი

ბზის რტოები

(ამბავი ფრანსუა კოპპესი)

— არ შეიძლება-მეთქი! გესმის თუ არა, რასაც გეუბნები: არ შეიძლება!

მოხუცმა ბურჟუელმა მეტის-მეტის სიბრაზით წარმოსთქვა ეს სიტყვები, სადილს თავი დაანება და სალფეტკი იატაკზედ დააგდო. შემდეგ დაიწყო ოთახში წინ და უკან სიარული და წაღებიან ფეხების ბრახუნი. იმისი ცოლი-კი, თავ-ჩაქინდრული და თვალ-ცრემლიანი, მწარე ფიქრებს მიეცა.

ასეთი ამბავი ამ უკანასკნელის ორის წლის განმავლობაში ხშირად მოხდებოდა ხოლმე ამ ოჯახში. ბურჟუელი და მისი ცოლი წაჩხუბებულნი იყვნენ თავიანთ შვილ ედუართან, რომელიც მშობელთა ნება-დაურთველად დაჰქორწინდა ერთ ახალგაზრდა ქალიშვილზე ლათინთა უბანში, სადაც ედუარი სტუდენტობის დროს ცხოვრებდა და ამ ქალიშვილთან კარგი ნაცნობობა და მეგობრობა ჰქონდა. ვერ წარმოიდგენთ რა თავდავიწყებით უყვარდათ მშობელთ ედუარი და რა რიგად ანებივრებდნენ მას სიყრმის დროს. ან-კი როგორ არ უნდა ჰყვარებოდათ, როცა ედუარი იმათი ერთად-ერთი შვილი იყო. ისიც ქორწინების შემდეგ მეთერთმეტე წელს გაუჩნდათ, როცა შვილის დაბადების ყოველი იმედი დაკარგული და გადაწყვეტილი ჰქონდათ. ეს ის დრო იყო, როცა უბრალო კალატოზი ბურჟუელი კალატოზის ტყავიდამ ნელ-ნელა ძვრებოდა მოიჯარადრის ტყავში და, რასაკვირველია, ამ საქმიდამ დიდ სარფას გამოელოდა.

მაშინ ბურჟუელი აი რას ეუბნებოდა თავის ცოლს:

— იცი, კლემანსა, თუ არა, რომ ის გაიძვერა გაუსმანი მთელს პარიჟს გადატრიალებას უპირებს. ქვის მუშაობა ეხლა დიდ მოსავალს იძლევა. თუ ღმერთმა ერთი თხუთმეტიოდ წელიწადი კიდევ დაგვაცალა, ძალიან კარგად წავა ჩვენი საქმე და უეჭველადაც გავმდიდრდებით. ეს ბალღი რომ დაკაცდება, ყოველ ცისმარე დღეს ტყეში წოწიალი აღარ მოუნდება და საღამოს დაღალულ-დაქანცული და კირით გასვრილ-გათხუპნული აღარ დაბრუნდება სახლში. ჩვენ შეძლება გვექნება, პატარა ედუარი კარგად აღვზარდოთ, რომ საპატიო კაცი გახდეს.

მამის სიტყვები ასრულდა. ედუარმა მშვენივრად დაამთავრა ლიცეის კურსი და აქტის დროს მინისტრის ხელით ოქროს მედალიც მიიღო.

ყოველივე ეს თავის თვალით ნახა ბურჟუელმა, ამ უბრალო მუშამ, რომელიც ლიმუზენიდამ პარიზში ქვევითად მოსულიყო და მის სიამაყე—თავმოწონებას შვილის გამარჯვების გამო საზღვარი აღარ ჰქონდა. მართლაც ახალგაზრდა ედუარს შეეძლო განეგრძო სწავლა, მიეღო უნივერსიტეტის დიპლომი და დიდებული კაცი გამხდარიყო.

— ყოჩაღი შვილი გვყავსო, ამაყად იტყოდა ბურჟუელი. ისეთ ქონებას დავუტევებთ, რომ 25,000 ლივრი წლიური შემოსავალი ჰქონდეს. ჩქარა, ცოლიც უნდა შევრთოთ. საცოლოდ კარგად განათლებული ახალგაზრდა ქალი უნდა ავურჩიოთ, ისეთი ღვთისნიერი ქალი, რომ ქმრისთვის ბედნიერება იყოს და ჩვენ მოხუცთათვის-კი ნუგეშიო.

სამწუხაროდ, მოხუც მამის მოლოდინი არ გამართლდა. ედუარმა შეიყვარა ვიღაც ახალგაზრდა ქალიშვილი და სწავლაზედაც გული აიცრუა ასე, რომ ოც და-ხუთის წლისა გახდა და უნივერსიტეტის დიპლომს მაინც ვერ ეღირსა. იმედგაცრუებულნი მშობელნი გულს მაინც არ იტეხდნენ, ჰფიქრობდნენ, ეგებ შეაფურთხოს ედუარმა ეშმაკს და გამოწალმართდესო. მაგრამ თავნება შვილმა ერთხელ გადაჭრით გამოუცხადა მათ, რომ შეყვარებულ ქალიშვილზე ჯვარი უნდა დავიწეროო. ამ ამბავმა მოხუცი მამა ისე გაარისხა და გააცოფა, რომ კინაღამ დამბლა დაეცა.

— დამეკარგე აქედამო! დიდის წყრომითა და სიბრაზით შესძახა შვილს. თუ ის საძაგელი არსება ცოლად შეგირთავს, ჩვენს სიცოცხლეში ცალ ფულსაც ვერ მიიღებ ჩვენგანაო.

ყოვლისავე ამის მიუხედავად ედუ-

გუბერნიის ექიმი ბ-ნი ქიქოძე, გამოირკვა, რომ ამ უკანასკნელს ხანში ტფილისში ძლიან გავრცელებულია კუჭის სახადი, რომლითაც ამ ორ კვირაში 7-მდე სული გამხდარა ავად. კრებამ დაადგინა, რომ რაც შეიძლება უფრო ნამდვილი ცნობები შეიკრიბოს ამ გადამდებ სენისა, მაგალითებრ: სახადითა, ყვავილითა, ქუნთრუშითა, ჭლექითა და სხვა ავადმყოფთა შესახებ. დაარიგეს ქალაქში მცხოვრებთა შორის ექიმების განსაკუთრებული ბარათები ქალაქის გამგეობის ხარჯით და ამ ბარათებით უნდა აცნობონ ხოლმე ექიმებმა ამბავი გადასადებ სენის შესახებ, მაშინვე მიწვეულნი იქმნებიან თუ არა ავადმყოფთან, როგორც გუბერნიის ექიმს, აგრეთვე სამკურნალო-სასანიტარო ინსპექტორსაო.

⁂ ამ უკანასკნელ დღეებში რამდენიმე ბავშვი დაიკარგა ტფილისში. პოლიცია სხვათა შორის ამ ჟამად დაეძებს 12 წლის ქალს ლიდია გერშეტისას და 12 წლისავე ბავშვს ნიკოლოოზ დანდუროვს, რომელნიც აპრილის 3-ს გამოსულან სახლიდგან და ჯერაც არ დაბრუნებულან.

⁂ ტფილისის ერთს ძველ წიგნების მოყვარულს ბ-ნ ავ. ეფიანჯიანცს ბევრი ქართული ძველი ხელთ-ნაწერი წიგნები ჰქონდა და, როგორც გავიგონეთ, ბ-ნ ეფიანჯიანცს წერა-კითხვის საზოგადოებისთვის მიუმართავს, ჩემი ძველი წიგნები თქვენ შეიძინეთო.

⁂ იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა მეორე სახალხო საკითხავი წიგნი, სახელ-წოდებით „სესე“ მოთხრობა ბ-ნ ვ. ბარნოვისა.

⁂ წარსულის თვის განმავლობაში, მთელს ტფილისის მაზრაში ყელ-ჭირვებას უმსხვერპლია ექვსი ყმაწვილი, სახადით-კი გარდაცვლილა ერთი კაცი. სოფ. ნინოწმინდაშიაც ყოფილა ოთხი ავადმყოფი სახადითა, მაგრამ ოთხივე მორჩენილა და ჯერ-ჯერობით არავის არ გამოჰჩენია ეს სენი; სოფ. დიღომში ექვსი ავადმყოფი იყო ამ სენით, ამათგან ხუთი მორჩა და დღეს მხოლოდ ერთია დარჩენილი.

ყელ-ჭირვება მარტო სოფ. მარტყოფში ყოფილა, ზემოხსენებული ექვსი ყმაწვილი უმსხვერპლია, დანარჩენი მორჩენილა და არცერთი არაა თურმე ამ სენით ავად.

შედარებით თებერვალმა უფრო კარგად ჩაიარა მცხოვრებლებისათვის, რადგან ამ თვის განმვლობაში თურმე არცერთი ავადმყოფი არ მომკვდარა მთელ ტფილისის მაზრაში, მაშინ როდესაც იანვარში 11 სული მომკვდარა: ორი ყვავილითა და ცხრაც—ყელ ჭირვებით.

⁂ გორი. ამ ჟამად ჩვენშიაც ცუდი, ავდრიანი დღეები სდგას. ძირს საშინელი ტალახი, ზემოდამ გამუდმებული წვიმა და მათ შორის სევდიანად მოზუზუნე ქარი მეტის-მეტად აწუხებს ჩვენის ქალაქის მცხოვრებლებს. ამასთანავე ლიახვი და ფშანიც ნელ-ნელა მატულობენ და თანდათან გორის დასავლეთ ქუჩებისაკენ მოიწევენ. მთაზედ ჯერ დიდ ძალი თოვლი ძევს და თუ ერთბაშად დაიძრა მისი წყალი, ეჭვი არ უნდა, კვლავინდებურად ჩამოურბენს გორის ქუჩებს გრეის ლიახვის გაცოფებული ნაკადულები.

⁂ გაზ. „Русс. Вѣд.“-ის სიტყვით, მთავრობას განუზრახავს ახალის სახის ქაღალდის ფული თუმნიანი შემოიღოს.

⁂ გაზ. „Нов. Время“-ს სიტყვით, ამ ზაფხულს, რუსეთის საგეოგრაფიო საზოგადოების დახმარებით, ექსპედიციაში იგზავნებიან გლაზუნოვი ელბრუსის გამოსაკვლევად და იავორსკი იმიერ-კასპიის, ბუხარიდგან დაწყებული, ანტროპოლოგიურადა და ეტნოგრაფიულად შესასწავლად.

⁂ იმავე გაზეთის სიტყვით, ბრიტანიის „დაბადების“ საზოგადოებას განუზრახავს კერძოდ კავკასიისა და სამხრეთ რუსეთისათვის გადასთარგმნოს და დაჰბეჭდოს სახარება აზარბეიჯანისა, კუმუკისა, კაშგარისა და არარატის სომეხთა ენაზედ.

⁂ გაზ. “Русс. Жизнь”-ის სიტყვით, ბუხარის ემირი, რომელსაც განზრახული ჰქონდა კავკასიის მადნის წყლებზედ მოსვლა, წელს ვერ მოახერხებს, რადგან თავის ქვეყანაში რამდენიმე ცვლილება შემოუღია და და 1896 წლამდე იქ დარჩება. 1896 წელს-კი გაზაფხულზედ ემირი კავკასიაში ჩამოვა, აქ მადნის წყლებზედ დარჩება კარგა ხანს და მერე პეტერბურგს გაემგზავრება. პეტერბურგიდგან გამობრუნებისას ემირი მდ. ვოლგათი წამოვა, შეივლის ნიჟეგოროდში და დაათვალიერებს იარმუკასა და გამოფენას. ემირის შვილი პრინცი ალიმი, რომელიც პეტერბურგის სასწავლებელშია, ამ ზაფხულს ბუხარაში აპირებს წასვლას.

⁂ 7 აპრილს გრიბადოევის ქუჩაზედ ანტონ გოლუბიცკის სადგურიდგან 40 მან. ღირებული სარეცხი მოჰპარეს.

დამაკვირდი

—

ხელოვნებით დახმარება მხოლოდ სიცრუესა სჭირია; ჭეშმარიტი და არსებითი თავის თავს თითონვე იცავს.

ემმერი

**

ყველაზედ საიმედო ბედნიერება ზომიერი ბედნიერებაა.

გერმ. ანდაზა

**

გარეულნი ნადირნიც-კი კანონს პატიოსნებისას არ არღვევენ, როდესაც ნადავლს ინაწილებენ.

გლეხის ღიღინი

—

შავმა ღრუბლებმა დამალეს
სხივები ქვეყნის მზისაო,
არყევენ ზღვას და ხმელეთსა
ჭექა-ქუხილი ცისაო;
ჰგლეჯავს და ჰლეწავს ხეებსა
სიმძლავრე ქარიშხლისაო,
აყეფდნენ შესაზარავად
ღვართქაფნი დიდის მთისაო,
წაიღეს, წარღვნეს, წალეკეს
შეჰხვდნენ რასაც და ვისაო!
შეძრწუნდა შიშით ეშმაკიც,
ატირდა გულიც ქვისაო,
მაშინ ახსენეს სახელი
პირჯვრისა წერით ღვთისაო—
და ცამაც გამოიდარა,
ნათელი დადგა მზისაო,
გაცოცხლდა მთელი ქვეყანა,
გაჰქრა ხმა თავ-ზარისაო.
ნეტა როდის-ღა გაჰქრება
ვაება გლეხობისაო
და როდის გამოიდარებს
იმისი გული კლდისაო?!

დ. მაჩხანელი.

ნეკროლოგი

† ფარნაოზ ჟურული

დღეს, აპრილის 6-ს, სოფ. არბოში დავმარხეთ ამ სოფლის მცხოვრები ახალგაზდა კაცი ფარნაოზ მიხეილის ძე ჟურული. განსვენებულის კუბოს მისდევდნენ არა მარტო მეზობლები, ნაცნობ-ნათესავები, არამედ მრავალი ახლო მახლო სოფლებიდამ მოსული ხალხიც და მომეტებულად გლეხ-კაცობა. ბევრი, ბევრი გულის სიღრმიდამ წამოსული ცრემლი დაეცა ახალგაზდა ჟურულის უდროოდ გაციებულს გვამს! რითი დაიმსახურა განსვენებულმა ასეთი გულწრფელი მწუხარება? ესეთი უანგარო თანაგრძნობა?

ფარნაოზ ჟურული იყო ხელ-მოკლე, ღარიბი აზნაურშვილი და მხოლოდ განუწყვეტელის შრომითა და მხნეობით მიჰყავდა ლაზათიანად თავისი ცხოვრება. თუმცა სწავლა არსად არ ჰქონდა დამთავრებული, მაგრამ საკმაოდ კარგად იცოდა როგორც რუსული წერა-კითხვა, ისე ქართული. ის როდი ჰგავდა იმ ვაჟბატონებს, რომელთაც სასწავლებლისათვის დაუნებებიათ თავი და წიგნი და კალამი ხმალ-ხანჯალსა და მათრახზედ გაუცვლიათ. დიდის გულ მოდგინებით კითხულობდა ქართულს წიგნებსა, გაზეთებსა და ცხოვრებაში გამოსადეგ ცოდნას ბევრჯელ საქმედაც გადააქცევდა ხოლმე. მართალია, იგი არ იყო შემკული რაიმე თვალსაჩინო ნიჭიერებით, მაგრამ ყოვლად მოწყალე მეუფეს, ამის სამაგიეროდ, მისთვის მიეცა ისეთი რამ ღირსება, რომელიც პატივსაცემ და საყვარელ ადამიანად ხდიდა განსვენებულსა. წრფელი გული ჰქონდა, სათნოიანი ხასიათი; გასაოცარი მხნე მუშაკი იყო და მოყვასისათვის თავ-დადებული მეგობარი.

როდესაც სოფელს რაიმე გაჭირვება მოადგებოდა კარსა, ფარ. ჟურული მაშინ ყველაზედ წინ იდგა, თავის მაგალითით ამხნევებდა გლეხებს და თავ-დავიწყებით ებრძოდა დაუპატიჟებელ სტუმარსა. ამ გვარის მოქმედებით გადაარჩინა მან თავისი პატარა სამშობლო შარშანდელ ხოლერას, რომელიც საშინლად მძვინვარებდა იქვე ახლო მდებარე სოფლებში. შარშან მამასახლისების არჩევანზე რომ ჩამოვარდა ხალხში ლაპარაკი, იმ დროს, სხვათა შორის, ამანაც მოისურვა მამასახლისობა. მაგრამ რა დიდი განსხვავება იყო ამის სურვილისა და ზოგიერთა სხვების წადილს შუა!!

„მე მინდა მამასახლისობა იმიტომ-კი არა, რომ უჩემოდაც შევიწროებულს გლეხ-კაცს ჯამაგირი გამოვართვა; არა, მე მსურს ჩემის სუსტის ძალით რაიმე შემწეობა მივცე ჩემს უბედურს მოძმეებს. დიდის გულ-მოდგინებით ხელს შევუწყობ პურის მაღაზიების საქმეს; გავწმენდავ ყოველ გვარის უსუფთაობისაგან სოფლებს, გავიყვან ქვაფენილ გზებს; ვეცდები, რომ ყოველ დიდ სოფელს თავისი სკოლა ჰქონდეს; ვეცდები, რომ ჩარჩმა და ვაჭარმა ტყუილ-უბრალოდ ველარ დასჩაგროს გლეხ-კაცი!“ აი მოკლე, მაგრამ საკმაოდ საგულისხმიერო, გზა და კვალი, რომელზედაც უნდოდა სიარული განსვენებულს ფარნაოზს. ეჭვი არ უნდა, გლეხ-კაცობა აირჩევდა თავის მამასახლისად, მაგრამ ზოგიერთი არამკითხე, სხვის სარჩოზედ მონავარდე კეთილშობილნი ჩაერივნენ ამ საქმეში, გლეხის ნება-უფლება ბატონ-კაცურად ხელზედ დაიხვიეს და უკანონოდ (რაც შემდეგ გამოძიებამ დაამტკიცა) ამოარჩევინეს თავიანთ სისხლი და ხორცი.

იმ ჟამად მეგობრებ დაშორებული, გავლენიან ნათესავებს მოკლებული საცოდავი ფარ. ჟურული ამ «სისხლისა და ხორცის» კანდიდატად დანიშნეს. დღეს ეს კანდიდატობაც სხვებს დაუთმო და თვითონ საუკუნოდ დაემკვიდრა მამა-პაპათა უძირო და უნაპირო სავანეში. კურთხეულ იყოს მისი პატიოსანი სახელი ამიერ-უკუნისამდე!..

არბოელი

კორესპონდენცია

—

სოფ. მუსხი, (ახალქალაქის მაზრა). ეს ერთი კვირა იქნება, რაც ხალხი გაიშალა მინდვრად და დაიწყო ხვნა-თესვა. თოვლი სრულიად გაჰქრა, მარტოდ მთებზედ-ღა ალაგ-ალაგ. ზამთრისა და უსაჭმელობისაგან შეწუხებულ საქონელს ცოტათი ეშველა, რაკი მინდორ-ტყეებში გავიდა საძოვარზედ. ჩვენი ხიდი უკვე დაამთავრეს და დაჰფიცრეს, მხოლოდ მოაჯირების შემოვლება-ღა უკლიათ. თუმცა მოაჯირები ჯერ არ შემოუვლიათ, მაინც მგზავრები დაიარები-

---

არმა მაინც თავისი არ დაიშალა და თუმცა პარიჟის გარეთუბანში ნოქრად იყო, მაგრამ მაინც ძალიან ღარიბად ცხოვრებდა.

ორი წელიწადი გავიდა, რაც მოხუც დედ-მამას თავისი შვილი არ ენახათ, რისგამოც დიდად სწუხდნენ და იტანჯებოდნენ. ბოლო დროს მაინც იმათი მდგომარეობა აუტანელი შეიქნა. დედის კეთილი და მგრძნობიარე გული ვერ ითმენდა შვილის მოშორებას და ყოვლის ღონისძიებით ცდილობდა როგორმე ქმრის გული მოელბო და შვილთან შეერიგებინა. მაგრამ გაბოროტებული მოხუცი ყოველთვის ერთსა და იმავეს გაიძახოდა წყრომითა და ყვირილით „არ შეიძლება-მეთქი!“ კეთილი დედა თავის განზრახვას თავს მაინც არ ანებებდა, რისგამოც ცოლ-ქმარს შორის ნიადაგ უსიამოვნება იყო ჩავარდნილი. ამ ნაირად ამ მოხუცთა შორის, რომელნიც ოცდაათ წელიწადს მშვიდად ცხოვრებდნენ და ერთმანეთის დიდად მოყვარულნი იყვნენ, ბოლო დროს მტრობა და სიძულილი გაჩნდა. იმათი გამუდმებული ლაპარაკი შვილის შერიგების შესახებ ყოველთვის ერთმანეთის ლანძღვა-გინებით თავდებოდა.

— ბურჟელ, შენ მეტის-მეტად გულ-ქვა და ულმობელი კაცი ხარ!

— შენ კი ფლიდი და ენა-ტარტარა ხარ დედაბერო!

ასეთის უსიამოვნო ამბის შემდეგ ჩვენი ძველი კალატოზი ყოველთვის გადიოდა სახლიდამ და წყრომის ნიშნად კარებს მიაჯახუნებდა.

გულ-მოკლული დედა მარტოდ-მარტო რჩებოდა სახლში, მიუჯდებოდა საქსოვს და მწარედ სტიროდა. ბურჟელი კი ამ დროს ყავახანაში ატარებდა დროს და მეზობლებთან ერთად ბანქოს თამაშობას შეექცეოდა; თან იმასაც ჩიოდა, რომ დრო წახდა, ზნეობა დაეცა, შვილებს მშობელთა რიდი და პატივისცემა აღარა აქვთო. ეს იყო ნიადაგ ბურჟელის სალაპარაკო და საჩივარი. სხვას არაოდეს არაფერს არ ამბობდა. მხოლოდ ჰფიცავდა, რომ შვილს არას გზით არ შევირიგებ, ერთი სამაგალითო მამა მაინც ვიქმნები ამ დროშიო. ასეთის ერთნაირის ამბით ბურჟელისაგან მეზობლები თავ-მობეზრებულნი იყვნენ და ზურგს უკან ყველა ჰკიცხავდა, ყველა ჟინიანს და ამაღლებულს ეძახდა, მაგრამ სამაგიეროდ პირში ყველა გულ-მტკივნეულებას უცხადებდა და უქებდა ხასიათის სიმტკიცეს. განსაკუთრებით ერთი მეზობელი, რომელიც მოკლე ჩიბუხით მყრალ თამბაქოს ეწეოდა, ყოველთვის ასეთის სიტყვებით აქეზებდა უიმისოდაც თავ-გასულ ბერიკაცს:

— ძია ბურჟელ, თქვენ ძალიან ყოჩაღად იქცევით, ნამდვილი რომაელი ხართ, ჭეშმარიტი ბრუტუსი ბრძანდებით.

თუმცა ჩვენმა კალატოზმა კლასიკურ სიძველეთა შესახებ ბევრი არაფერი იცოდა, მაგრამ ის მაინც ჰქონდა გაგონილი, რომ ბრუტუსი გმირი იყო და როცა ეუბნებოდნენ, შენ იმ დიდებულ კაცს ჰგევხარო, დიდად ესიამოვნებოდა. აქ ისიც არ შეიძლება დავფაროთ, რომ ბურჟელი როცა ღამ-ღამობით სახლში დაბრუნდებოდა, ხანდახან ჰფიქრობდა იმის შესახებაც, თუ რა უწყალო და შეუბრალებელ გულის პატრონი კაცი იყო ბრუტუსი და რა საშინელებაა შვილის სასიკვდილოდ გაწირვა.

გათენდა ბზობა დღე. ბურჟელის ცოლი წირვის მოსასმენად წავიდა საყდარში. თითონ ბურჟელი ამ დღეს გვიან წამოდგა ლოგინიდამ, რადგანაც წინა ღამით დიდ ხანს შეექცა ბანქოს თამაშობას ყავახანაში. ჩვეულებისამებრ გუშინ სადილის დროს კეთილმა დედამ ერთხელ კიდევ სცადა და შვილთან შერიგების შესახებ ჩამოაგდო ლაპარაკი. არწმუნებდა ქმარს, რომ მე კარგად გამოვიძიე ეს ამბავი, მაგრამ არც იმდენად გასაჯავრებელი არისო. ჩვენი რძალი არც ისე საძაგელია, როგორც ჩვენ ვფიქრობდითო. მართალია ღარიბია და ჯვარ დაწერამდი კორსეტებს ჰკერავდა, მაგრამ განა თითონ ჩვენ გამდიდრებულ მუშათაგანი არა ვართო. რასაკვირველია, ჩვენც არ უნდა გვქონოდა იმედი, რომ ჩვენი შვილი უეჭველად არისტოკრატის ქალს შეირთავდაო. ამას გარდა ჩვენი რძალი ისეთის ეჭვ-მიუტანელ პატიოსნების და ყოფა-ქცევის ქალია, რომ დროა შევირიგოთ საბრალო შვილები, რომელებიც დიდ სიღარიბეში არიანო.

— კარგად იფიქრე, მოხუცო, დაუმატა ცოლმა: ისინი სულს ღევენ სიღარიბეში, ჩვენ-კი მდიდრულად ვცხოვრობთ. ედუარის ჯამაგირი მხოლოდ 200 ფრანკია თვეში, ხოლო შენ ამდენს მარტო სიგარასა და ბანქოში ხარჯავ. ეს უსამართლობაა. მე არ აგიხირდები, თუ შენ ეს არ გსურს, რომ მაინცა და მაინც ინახულო ისინი, ისე-კი ვალდებული ხარ რამდენადმე შეეწიო და ცხოვ-

ან. ამ ხიდის მოსწრებამ მთელ აქეთ მხრის ხალხს დიდი შემწეობა მისცა. ეხლა ყველგან ხევები, თუ პატარა მდინარეები ადიდებულია და გასვლა შეუძლებელი ხდება; მტკვარზედაც ახლო-მახლო ხიდი თითქმის არსად არის და ამიტომ ყველა მუსხის ხიდს ეტანება. თუ მტკვარი არ ადიდდა ისრე, როგორც ამ სამის წლის წინად, როდესაც აქ ხიდი მოიტაცა, იმედია, ჩვენს ხიდს კარგა ხანს ედგმება სული.

სოფ. მუსხის სკოლასთან წიგნთსაცავი უკვე დაარსდა და აქეთ-იქიდგან კიდეც დაგვეხმარნენ თუ წიგნებითა და თუ ფულით. იმედი გვაქვს სხვებიც არ დაიშურებენ თავიანთ წვლილს ამ ფრიად კეთილ საქმისათვის. სკოლიდგან გასული შეგირდები და ყველა ისინი, ვისაც ოდესმე წერა-კითხვა უსწავლია, ხალისით ეტანებიან წიგნების კითხვას, მაგრამ უფრო გავრცელდება კითხვა მაშინ, როდესაც სკოლას ექნება საკმაო წიგნები.—მეტადრე საყმაწვილო წიგნაკებს ეწაფებიან ბავშვები; მოთხრობანი და წმინდანების ცხოვრება მოსწონთ უფრო დიდრონებს. ჯერ-ჯერობით იმოდენა ღონისძიება არა გვაქვს, რომ ყველას სურვილი შევასრულოთ და შესაფერი წიგნი მივაწოდოთ.

ვ. კოპტონაშვილი

ბათუმი, 7 მარტი. გავლილ კვირას საქველ-მოქმედო აზრით, სცენის მოყვარეთა მიერ, ბათუმის მაზრის უფროსის, ზაგაინის თაოსნობით წარმოდგენა გაიმართა, რომლის შემოსავალი დანიშნული იყო ქობულეთში პირველ დაწყებით სამეურნეო სასწავლებლის დასაარსებლად.

რა თქმა უნდა, ამ ყოვლად კეთილის საქმის გამგენიცა და მონაწილეობის მიმღებნიც სრულის თანაგრძნობის და მადლობის ღირსნი არიან. საზოგადოებამ აღმოუჩინა კიდეც თანაგრძნობა, საკმარისად ბლომად დაესწრო წარმოდგენაზედ. ასე, რომ წმინდა შემოსავალი დარჩა 525 მან. 47 კაპ. ამავე ყოვლნაირ სასარგებლო საქმის განსხორციელებლად კომიტეტია შემდგარი იმავე ბ-ნის ზაგაინის თავმჯდომარეობით. კომიტეტს ათას მანეთამდე უკვე აქვს შეგროვილი, შენობის ასაგებად აგურის ქარხანაც გაუმართავთ, ხისა და ქვის მასალა შეუგროვებია, უცხოელებსაც ელომდ შეუწირავთ. ბ ნს რიხნერს აღუთქვამს საუკეთესო ხის მასალის შეწირვა. ამათ გარდა, ადგილობრივ მცხოვრებთაც, რასაკვირველია, ქობულეთშივე, დიდი თანაგრძნობა გამოუცხადებიათ და აღუთქვამსთ ხე-ტყის და მასალის მიტანით დახმარება. იქაურ მემამულეს ბ-ნ გულ-ალა-კაკაც-ოღლის შეუწირავს სამეურნეო სასწავლებლის საჭიროებისათვის სამი ათასი ოთხ-კუთხი საჟენი მიწა.

მარტო შენობა მოთავსებულ იქნება 147 ოთხ-კუთხ საჟენზედ, ასე რომ საკმარისად დიდი შენობა უნდა იყოს. კომიტეტის გამოანგარიშებით შენობა 15 ათას მანეთამდე დაჯდება.

რადგანაც ქობულეთში ეს პირველი სკოლაა, რა თქმა უნდა სასწავლებლის დაარსების საქმის მეთაურენი, შენობის საძირკვლის ჩაყრის დღიდგანვე, მოინდომებენ ხალხის გულშიაც ნდობის და სიყვარულის საძირკველი ჩაჰყარონ. არც თუ ისე ადვილი საქმეა, ზნეობრივის გავლენის მოპოვება, სადაც ჯერ კიდევ უნდობლობით სჭრის და ჰკერავს ხალხი!.. აქ მასწავლებლებად მოწვეულებს, თავიანთი პირდაპირის საქმის ცოდნის გარდა, ხალხთან დაახლოების ნიჭიც უნდა მოეთხოვებოდეს. კარ-ჩაკეტილი ცხოვრება, ამ ხალხს ვერ მიითვისებს.

უბინაო

◆ ◆

რუსეთი

—

შვილად აყვანის ახალ კანონის გამოცემამდე, თავად-აზნაურობას, საპატიო მოქალაქეთა და ვაჭართ ეკრძალული ჰქონდათ შვილად აყვანა თავისის უკანონო ყმაწვილებისა. შვილად აყვანის ახალს კანონში არაფერია ნათქვამი ზემოხსენებული კანონის აღკრძალვისა ძალაშივე დარჩა, თუ არა. ეს საგანი განუხილავს უმართებულესს სენატს და დაუდგენია: ეს კანონი ისევე ძალაშია დარჩენილი, რადგან იგი იმიტომ არის დადგენილი, რომ მკვიდრნი ერთათ უკანონო ცხოვრებისათვის წაქეზებულ არ იქმნენ და საზოგადოების ცხოვრებაში კორწინებას თავისი მნიშვნელობა არ დაეკარგოსო.

—

ეხლა ნოტარიუსები ყოველ ქაღალდის შედგენისა და შემოწმებისათვის გარკვეულს სასყიდელს იღებენ თავის სასარგებლოდ. მთავრობას განუზრახავს ყველა ნოტარიუსისათვის დააწესოს წლიური ჯამაგირი (3.000 მანეთამდე) და შემოსავლიდგანაც განსაზღვრული პროცენტი მისცეს, ხოლო საერთო შემოსავალი-კი მთავრობისა იქმნება; ამას გარდა ნოტარიუსებს ნება მიეცემათ სამსახურის დროს ატარონ მუნდირი, იმავე ფერისა, როგორიცა აქვთ სასამართლო უწყების მოსამსახურეთ, მაუდის საყელოიანი ფრაკი.

—

რუსეთის გაზეთების სიტყვით, მოსკოვის მხატვართა საზოგადოების მეორე გამოფენაზედ სხვათა სურათთა შორის გამოფენილი იყო გ. გუგუნავას მიერ დახატული ორი დიდი სურათი: „საგანგებო მატარებელი“ და „სარეცხის რეცხვა ამიერ-კავკასიაში“ მდ. ტეხურას ნაპირზედ. „Русск. Вѣд.“-ი ამბობს, რომ პირველს სურათში ზოგიერთი ადგილები მშვენივრად არის დახატული, ხოლო მეორე ძალიან სუსტია, მეტადრე იმიტომ, რომ იმ ქვეყნის ცხოვრებისგან არის აღებული, რომელიც მდიდარს მასალას იძლევა მხატვრობისათვისაო. იმავე გამოფენაზედ გ. ბატურინს გამოუფენია თავისი სურათი „ნაგომარის ველი გურიაში“, მაგრამ ეს საუცხოო იდგილი ცუდად არის თურმე დახატული.

◆ ◆

უცხოეთი

—

საფრანგეთი. პარიზის ჟურნალ-გაზეთებმა უკვე დაიწყეს ლაპარაკი საფრანგეთის პრეზიდენტის არჩევანის შესახებ. აწინდელს პრეზიდენტს საფრანგეთისას ამ წლის დამლევს უთავდება ვადა სამსახურისა. საპოლიტიკო წრეებში ამბობენ, რომ პრეზიდენტის თანამდებობაზედ არჩევანის დროს, რომელიც 2 ნოემბერს უნდა მოხდეს, კანდიდატად დასახელებულნი იქნებიან: კარნო, კაზიმირ პერიე, შალმელ ლაკური, დიუპუი, ადმირალი ჟერვე, ბრისონი, გელინი, ვალდეკ რუსსო და საფრანგეთის ბანკის მმართველი მანიენიო.

—

ინგლისი. ლონდონის ადმინისტრაციამ ათი ბრძანება გასცა საფრანგეთის ანარხისტების დაპატიმრებისა. ეს ანარხისტები დაპატიმრებულები იქმნებიან იმ დრომდე, ვიდრე მთავრობა გადასწყვეტს, გადასცეს ისინი საფრანგეთის მთავრობის ხელში, თუ არა.

—

ავსტრია. ალბაციიდგან გერმანიაში წასვლის დროს გზად გერმანიის იმპერატორს ვილჰელმს ვენაში შეუვლია. გაზეთების სიტყვით, იგი ვენაში დარჩება ერთს დღეს. ამბობენ, რომ ალბაციიდგან წამოსვლის დროს ვილჰელმს უთქვამს: «ამ დასვენებასა და მხიარულებასაც ბოლო მოეღო, ეხლა ისევ მუშაობას უნდა შევუდგეო».გოთბურგში იმპერატორს დიდხანს უბაასნია გრაფ კალნოკთან.

—

იმპერატორი ფრანც-იოსები ამ გაზაფხულსავე აპირებს დარბაზად წავიდეს იტალიის მეფე ჰუმბერტოსა დ დედოფალ მარგარიტასთან, ხოლო ეს დარბაზობა მოხდება მონცს და არა რომში.

—

პრინც კობურგელი ვენიდგან მიუნჰენში წავიდა, როდესაც შეიტყო, რომ გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი ვენაში შემოივლისო, რადგან ვილჰელმი დღევანდლამდე წყალობის თვალით არ უყურებს პრინცს.

◆ ◆

უცხოეთის წვრილი ამბავი

—

თ. ბისმარკის ექიმმა პროფესორმა შვეინინგერმა დაჰბეჭდა წერილი სიმსუქნის წამლობის შესახებ. ამისი წამალიაო, ამბობს იგი, ზღვა და ყოველ დღე ადამიანის სხეულის სხვა და-სხვა ნაწილების წყალში ბანებაო.

თუმცა ავადმყოფისათვის პირველში არაფრად სასიამოვნოა დაიზილოს სხეული, მაგრამ შემდეგში მიეჩვევა და ისე აღარ ეხამება. ავადმყოფმა წამლობის დროს უნდა ჭამოს ხორცეული, სულ ერთია ხორცი მსუქანი იქნება თუ მჭლე, თევზეულობა, კვერცხი, ყველი და სხვა. მხოლოდ აღკრძალული უნდა ჰქონდეს ჭამა წვნიანის ფქვილ-ნარევის საჭმელებისა, მწვანილისა და სასმელებს შორის არ უნდა დალიოს: ლუდი, წითელი ღვინო, რძე, ყავა, ჩაი, შოკოლადი და კაკაო.

—

ამას წინად სპარსეთის შაჰის ცოლს ამინე აიდეს თვალის ოპერაცია გაუკეთა პროფესორმა ფუქსმა ვენაში. ეხლა შაჰის მეორე შვილს პრინც ზილ-ელსულტანს თვალისავე ტკივილი გამოსჩენია და იმის საექიმოდ პარიზიდამ დეპეშით თეირანში მიუწვევიათ თვალის ექიმი გალეზოვსკი, რომელსაც ჯილდოდ 180,000 მან. აქვს დაპირებული.

—

ამერიკის შტატს მენში მამაკაცები უცნაურს მდგომარეობაში არიან თურმე, ის მამაკაცნი, რომელნიც ქარხნებში ჰმუშაობენ. საქმე იმაშია, რომ ეს მამაკაცნი ქარხნებში, მხოლოდ შუა დღემდის მუშაობენ. შუა დღის შემდეგ-კი საოჯახო საქმეში არიან გართულნი; ჩურჩელს ჰრეცხავენ, ბავშვებს უვლიან, სახლსა და სამზარეულოს ალაგებენ და სხ. ჰკერავენ და ჰქსოვენ კიდეც თუ არა, ეს-კი არავინ იცის. ამ მამაკაცების ასე მუშაობის მიზეზი ის არის, რომ იმათი ცოლები ქარხნებში უფრო დიდ ჯილდოს იღებენ, ვიდრე თითონ. ეს მოვლენა ბევრგან სხვაგანაც არის შენიშნული, სადაც დედაკაცის შრომას უფრო მეტი ფასი აქვს, ვიდრე მამაკაცისას.

—

ამ უკანასკნელ დროს გლადსტონი ინგლისურს ენაზე ჰორაციოს ოდებსა სთარგმნიდა თურმე. „Daily News“-ი სწერს, რომ გლადსტონმა ოდების თარგმნა სწორედ იმ დღეს გაათავა, რა დღესაც სამსახურიდგან გადადგაო.

◆ ◆

ფარმაცევტული ტერმინები ქართულს ენაზედ

ქართულ რუსულ-ლათინური სახელები წამლებისა.

ბადაგი (ავშარაჯს, შარბათს, სიროფს და სხვა მე ბადაგი ვარჩიე და ლათინურიდგან სიროფი ქართულად ბადაგად ვსთარგმნე, რადგან ჩვენი საკუთარი სიტყვაა და ბევრადაც ეთანხმება სიროფის გამომხატველ სიტყვას).

27) ბადაგი ალუბლისა. Вишневый сиропъ, Sirupus Cerasorum.

28) ბადაგი დარიჩინისა. Сиропъ корицы, Sirup. cinnamomi.

29) ბადაგი იოდიან რკინისა.—Сиропъ Іодиста 20 желѣза.—Sirup. Ferri jodati.

30) ბადაგი ჟოლოსი.—Малиновый сиропъ, sirop. Rubi Jdaci.

31) ბადაგი რუსულ მოცხარისა.—Клюковный сиропъ, sirup Oxycocci.

32) ბადაგი შაქრისა.—Сахарный сиропъ. sirup. Simplex.

33) ბადაგი წებოიანი. — Камедистый или гумозный сиропъ,—sirup Jummosus.

რების მძიმე უღელი შეუმსუბუქო.

დიდხანს იყო გაჩუმებული ბურჟელი და ცოლის ლაპარაკს ყურს უგდებდა; ბოლოს, რაღაც ეშმაკად, გაახსენდა, რომაელი ვარო და ამაყად წარმოსთქვა თავის ჩვეულებრივი „არ შეიძლება-მეთქი!“

ეს იყო მიზეზი, რის გამოც ჩვენი ძველი კალატოზი ბზობა დღეს ავგუნებაზედ ადგა. ისე გაფანტული და გრძნობა-გონება არეული იყო, რომ როცა წვერს იპარსავდა, ორგან გაიჭრა კანი.

—არა და არა, ლაპარაკობდა თავისთვის, არც ისე სულელი ვარ, რომ ურჩი შვილი ჩემის ნაოფლარით ვარჩინო. მოსაფიქრებლადაც საშინელებაა, რომ გუშინ დედაპერმა კინაღამ დამიყოლია შერიგებაზე. ბრუტუსი ამას არაოდეს არ იქმოდა. ქალს არაფერი არ უნდა გაუგონოს კაცმა. იმათ სადა აქვსთ ხასიათის სიმტკიცე.

წვერის მოპარსვის შემდეგ ბურჟელმა ჩაიცვა სადღესასწაულო ტანისამოსი, გავიდა სასტუმრო ოთახში და ელოდდა ცოლის საყდრიდამ დაბრუნებას.

თორმეტი საათი იქნებოდა, როცა კლემანსა დაბრუნდა საყდრიდამ, თან ერთი კონა ბზის რტოები მოიტანა და ამ რტოებით დაუწყო სახლს მორთვა. ბურჟელი ხმა-ამოუღებლივ უყურებდა ცოლის ფუსფუსს. ბზის რტოების ნახვამ იმისი ფიქრი წარსულისაკენ მიახედა. მას გაახსენდა იმათ ჯვარის წერის პირველი წელიწადი, როცა კლემანსა ბზობას დაბრუნდა საყდრიდამ, ბზის რტოებით, მორთო თავიანთი ერთად ერთი პატარა ოთახი. მაშინ ბურჟელი უბრალო კალატოზი იყო, ხოლო კლემანსა მკერვალთა მაღაზიაში მუშაობდა. როგორი ახალ-გაზრდები და კარგები იყვნენ მაშინ ისინი და რა უზომოდ უყვარდათ ერთმანეთი! მთელი იმათი წარსული ცხოვრება სრულის სავსებით წარმოუდგა თვალწინ ბურჟელს. მომჭირნეს, ოჯახისთვის თავ-დადებულს და ქმრის ერთგულ ცოლს ის ეხლა სტანჯავდა ურჩის შვილის მიზეზით. მაგრამ განა ედუარი მართლა ურჩი იყო? რასაკვირველია, შვილი მშობელთა მორჩილი და მოსიყვარულე უნდა იყოს, მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ სიჭაბუკეს და სიყვარულს ბევრი რამ მიეტევება.

ამ დროს კლემანსამ აიღო ბზის ერთი რტო და ედუარის ფოტოგრაფიულ სურათს მიამაგრა. ეს სურათი იმ დროს გადაღებული იყო, როცა ედუარი ლიცეიში სწავლობდა და იმის კარგის სწავლით მშობლებს თავი მოჰქონდათ.

ძველის კალატოზის გრძნობა-გონებაში რაღაც უცნაური ხდებოდა. ბზის რტოების დანახვამ ისე მოაჯადოვა და დაატყვევა მისი სული და გული, რომ ამ დროს ძალიან უნდოდა კეთილი და სულგრძელი ყოფილიყო. ის მივიდა ცოლთან, დაუჭირა ორივე ხელები, შეხედა შვილის სურათს და ლმობიერად წამოილაპარაკა:

—იცი, კლემანსა, რომ მე მზად ვარ შევურიგდე შვილს! უზომო სიხარულის გამომეტყველი ხმა ამოხდა კეთილის ქალის გულიდამ. თუთხმეტი წელიწადი იყო, რაც ქმარს მისთვის კლემანსა აღარ დაუძახია. ამ სახელის გაგონებამ, რომელიც სიყმაწვილის დროს აგონებდა, ბრწყინვალედ აღაფრთოვანა მისი გული. სჩანს ქმარს კიდევ ჰყვარებია ის. ეს გრძნობა სიყვარულისა ნებას აძლევდა მოხვეოდა ქმარს ყელზე და თავ-დავიწყებით დაეკოცნა.

— შენ იცი, ბურჟელ, რომ წარსულ კვირას მე ვიყავი შვილთან? ის ძალიანა სწუხს, რომ გაწყენინა და დიდიხანია, რაც მოსვლა და ბოდიშის მოთხოვა უნდა, მაგრამ ეშინია შენის წყრომისა. ხოლო გასაწყრომი-კი არაფერი დაუშავებია. მე ვნახე იმისი ცოლი, რომელიც სიკეთითა და სილამაზით გაფურჩქვნილ ვარდსა ჰგავს. ჩვენი ედუარი დიდად უყვარს და კარგი დიასახლისიცაა. დავივიწყოთ რაც მოხდა. ეს იმათი საქმე იყო და არა ჩვენი. ყოველსავე ამას გარდა, ჩქარა შვილიშვილი გვეყოლება—შენ ბაბუა გახდები და მეკი ბები.

— კმარა, კმარა, უპასუხა ბურჟელმა, უთხარი სადილი მოამზადონ ოთხის კაცისათვის და ეტლიც მოაყვანინე. წავიდეთ და წავუღოთ ბზის რტოები ნიშნად შერიგებისა და სადილად მათთან ერთად დავბრუნდეთ სახლში.

გულ-აჩუყებული კეთილი დედაკაცი მაგრად ჩაეკონა ქმარს და თვალთაგან სიხარულის გამო მდუღარება დააბნია. ასე გასინჯეთ, თითონ ბურჟელსაც დაავიწყდა, რომ ბრუტუსებური გულ-მაგარი იყო, ისიც ატირდა და ცრემლები წამოჰყარა.

ლ. წულაძე

34) ბადაგი წითელ-მოცხარისა.—Сиропъ красной смородины,—sirup. Ribis rubri.

34) ბალახი აბსინთა.—Полынъ, Herba Absinthii.

35) ბალახი აკონიტა.—Трава аконита,—Herba Aconiti.

36) ბალახი ასისთავა.—Золототысячникъ,—Herba Centaurii.

37) ბალახი გარეულ თავშავასი (კუტი ბალახი?),—Душица обыкновен.—Herb. Origani.

38) ბალახი თაფლის სამყურა (იონჯა?) Донникъ аптечный.—Herba Meliloti.

39) ბალახი ინდოეთის კანაფისა.—Индійская конопля.—Herba cannabis Indicae.

40) ბალახი კოვზა.—Ложечная трава. H. Cochleariae.

41) ბალახი კონიო, მათოთა.—Трава болиголова или омега пятнистаго.—H. Conii.

42) ბალახი ლობელია.—Тр. Лобеліи. H. Lobeliae.

43) ბალახი ნარცეცხლა.—Волчецъ кудрявый.—H. Cardui benedicti.

44 ბალახი რომულ ურცისა, თიმიამი.—Тиміанъ.—H. Thymi.

45) ბალახი სამფერა იასი.—Фіалка трехцвѣтная. Иванъ-да-Марія.—H. Violae tricoloris.

46) ბალახი ურცისა, გარეული ქონდარი.—Чаборъ, Чабрецъ, Богородская трава.—H. Berpylli.

47) ბალასანი კოპაისა. — Копайскій бальзамъ.—Balsamum Copaivae.

48) ბალასანი პერუსი. — Перуанскій бальзамъ.—Balsamum Peruvianum.

49) ბალასანი სტირაქსისა.— Жидкій стираксъ.—Balsamum Styracis.

50) ბალასანი ჰოფმანისა.—Гофмановъ бальзамъ.—Balsamum Vitae Hoffmanni.

51) ბამბა სისხლის შემწყვეტი.—Кровоостанавливающая вата. — Gossypium Haemostaticum.

52) ბენზინი ნავთისა.—Нефтяной бензинъ.—Benzinum Petrolei.

53) ბისმუთი აზოტმჟავე დალექილი.—Основная азотновисмутовая соль. — Bismutum Subnitricum.

54) ბისმუთი სალიცილმჟავა.—Салициловислая окись висмута.—Bismutum Salicylicum Basicum.

55) ბოლქვი ზღვის ხახვისა. ზღვის ხახვი. —Морской лукъ.—Bulbus dcillae.

56) ბრომი.—Бромъ.—Bromum.

57) ბუზები შპანისა (მარიამბულა?).—Шпанскія мухи.—Cantharides.

(შემდეგი იქნება)

წერილი რედაქციის მიმართ

—

I

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით ნება მომცეთ გულითადი მადლობა უძღვნა ბ-ნ სანდრო კასსაძეს, რომელსაც წმ. ნიკოლოზის ეკკლესიის სამრევლო სასწავლებლის უმაწვილებისთვის მშვენივრად შეუსწავლებია ქართულ ენაზედ გალობა და აგალობებს ეკკლესიაში. ვისურვებ, რომ სხვასაც მიებაძნოთ ბ-ნ კასსაძესათვის. ამასთანავე გთხოვთ ერთი მანეთი გადასცეთ მგალობელთა უმაწვილებს, რომელსაც ამასთანავე წარმოვადგენ.

ვლადიმერ ივანეს ძე მაჭავარიანი

II

უგულითადესს მადლობას უძღვნი ქველმოხსენებულთ, რომელთაც ჩემდა რწმუნებულ მუსხის სკოლასთან დაარსებულ წიგნთ-საცავს შემწეობა აღმოუჩინეს ფულითა თუ წიგნებით ქ. ახალციხიდგან: მოქალაქე პავლე პეტრესძე სუხნიაშვილმა 5 მ., მღვდელმა მამ ესტ. მირიანაშვილმა 1 მ., ქ-მა ეკატერინე იაკობის ასულმა ქანხოევისამ 1 მ., მასწავლ. გრიგოლ ბურჭულაძემ 50 კაპ., ბ. გიორგი ზაალიშვილმა 50 კაპ., ბ. პავლე ი—ძე ბეთანაშვილმა 50 კაპ., მიხაილ ი—ძე ბეთანაშვილმა 40 კაპ., კარაპეტ მნაცაკანოვმა 50 კაპ., ჯაფარიძემ 50 კაპ., კონსტანტინე ს—ძე გურასაშვილმა 1 მ., (ეს ერთი მანეთი მასალები გვაქვს)

წიგნებით დაგვეხმარნენ: 1) მღს ივანე გვარამაძემ შემოსწირა 5 ეგზ. თვის მიერვე შედგენილი „ქართლის თხოვრება“, 2) მასწავლ. გრიგ. ბურჭულაძემ 32 ეგზ. სხვა-და-სხვა ქართული წიგ., მათ შორის ორი რუსული; 3) მასწ. ალექსი მიქელაძემ 13 ეგზ. სხ.-და-სხ. ქართ. წიგნისა; 4) ნიკოლოზ გაბრიელის ძემ ასათიანმა 25 ეგზ. სხვა-და-სხვა ქართული წიგნი; 5) ბესარიონ პავლეს ძემ ხმალაძემ 9 ეგზ. ქართ. წიგნი მათ შორის ერთი რუსული; 6) იოსებ ნებიერიძემ 4 ეგზ. ქართ. წიგნი.

მუსხის სკოლის მასწავლებელი
ვ. კოპტონაშვილი

6-ს აპრილს 1894 წ.
ს. მუსხი.

შემოწირულობა

„წერა-კითხვის საზოგადოების“ ლატარიისათვის კიდევ შემოსწირეს: კნეინა ნატალია ვახტანგის ასულმა ამირჯიბისამ—ოქროს ბეჭედი ფირუზის თვალით, და ორი „ეტაჟერკა“ და გრიგოლ ხდამის ძემ ყარანგოზიშვილმა—3 მანეთი ფულად.

დეპეშა

7 აპრილი

პეტერბურგი. განზრახვა აქვთ სასამართლოს წესდებანი ასტრახანის გუბერნიაში ოქტომბრის პირველიდგან შემოიღონ.

ლონდონი. ბილლი ირლანდიაში შემოღებულ ძალ-დატანების კანონის გაუქმების შესახებ საზოგადოებათა პალატამ მეორე წაკითხვაზედ შეიწყნარა.

კობურგი. იმპერატორ ვილჰელმს რკინის გზის სადგურზედ მიეგებნენ ჰერცოგი კობურგისა, მემკვიდრე ცესარევიჩი, დიდნი მთავარნი ვლადიმირი, სერგი და პავლე ალექსანდრეს ძენი, პრინცი უელსისა, ყველა პრინცები და დიდ-ძალი სამხედრო ამალა ზარების რეკვისა და ზარბაზნების სროლის დროს. ყველანი სასახლეში წავიდნენ, სადაც საღამოზედ საგვარეულო სადილი იყო გამართული.

8 აპრილი

ვენა. მიღებულია სავაჭრო ხელშეკრულობის პროექტი ავსტრიისა და რუსეთს შორის. დაბოლოვებით რედაქცია ერთ კვირაში იქნება შემუშავებული.

ბერლინი. გერმანიის პარლამენტი დაიხურა.

განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება
სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები
„პლატონ იოსელიანი“
ფასი სამი შაური

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—$11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. $12\frac{1}{2}$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—$1\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7\frac{1}{2}$ საათამდის.

ე. ი. ფრანცუსი, 7—$7\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერი ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

დაიბეჭდა და ისყიდება
ხიდდეკელის, წერა-კითხვის საზოგადოების და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიებში
მეორე გამოცემა წიგნისა:
УЧЕБНИКЪ
ГРУЗИНСКАГО ЯЗЫКА
для русскихъ
СОСТ. МИХАИЛЪ НАСИДЗЕ
цѣна 50 коп.
(10—7)

დაიბეჭდა და ისყიდება
წერა-კითხვის გამავრცელ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში
მარიამი
ანუ
ყვავილების კალათი
მოთხრობა ყმაწვილებისათვის
ქრისტეფორე შმიდტისა.
თარგმანი
სალომე შუბათელისა
ფასი 10 კაპ.
(5—4)

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი
ოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—180)

„ივერია“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

12 თვით	10 მ.—კ.	6 თვით	6 მ.—კ.
11 ,,	9 ,, 50,,	5 ,,	5 ,, 50,,
10 ,,	8 ,, 75,,	4 ,,	4 ,, 75,,
9 ,,	8 ,, —,,	3 ,,	3 ,, 50,,
8 ,,	7 ,, 25,,	2 ,,	2 ,, 75,,
7 ,,	6 ,, 50,,	1 ,,	1 ,, 50,,

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІА“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უგანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან $7\frac{1}{2}$ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.

კერძო ექიმი
პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონით: ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაშვების ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა, სწამლობს დედათა სნეულებას და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს გარედგან მოსიარულეთა და თავის სახლში დაწვენითაც ყოველ დღე: დილის ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 5—7-მდე.

ადრესი: საპიორის ქუჩა, სახლი ბაბანასოვისა № 41.

(10—1028—9)

სასაპარელო ესსენცია კოლბეირსა
(Essence de Salsepareille Colbert)
საუკეთესო წამალი სისხლის დასაწმენდად
იარლიკზე უნდა იყოს ამომჯდარ
ასოებით წითლად დაბეჭდილი
რუსეთის ყველა საუკეთესო აფთიაქებში იყიდება, ხოლო პარიჟში Ph-cie Rogé, 9, rue du guatre Septembre.



Въ Б. Жуковскій
С.-Петербургъ
10. рота, 16.

უმთავრესი წარმომადგენელი წისქვილის თვლების ფაბრიკისა ე. ტრაპპისა.

ტრაპპის ფაბრიკის მიერ ბოგემიაში გაკეთებული წისქვილის თვლები საუცხოვო გამოდგა. ამ თვლებით სამჯერ უფრო მეტი იფქვის, ვიდრე სხვა ფაბრიკის გაკეთებულ თვლებით, 8 საათის განმავლობაში ფქვავს 600 (ექვსას) ფუთს.

Ревель
А. Брокгаузенъ

პრეისკურანტები და სხვა და სხვა დამარწმუნებელი ქაღალდები სუმრკელს საჩქაროდ გაეგზავნება.

Доз. ценз. Тифлисъ, 8-го Апрѣля 1894 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე